საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №37

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 84-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოვადგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავ თხოვნით წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

გთხოვთ, რეგლამენტის პროექტს მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: -9- ფურცელი

პატივისცემით,

08-01-08/33
22. 09. 2022
10.

დავით გაბაიძე

ვლადიმერ მგალობლიშვილი

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

რეგლამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10.04.2019, სარეგისტრაციო კოდი: 010240080.51.056.016040) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ვ) ამტკიცებს კომიტეტების და დროებითი კომისიების დებულებებს;".

2. 130-ე მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 და 3^2 პუნქტები:
„3^1. მთავრობის შესაბამისი წევრის უმაღლეს საბჭოში წარდგენამდე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს უფლება აქვს კითხვით მიმართოს მთავრობის შესაბამის წევრს. კითხვა წარდგენილი უნდა იქნეს ელექტრონული ფორმით უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის მეშვეობით, მთავრობის შესაბამისი წევრის უმაღლეს საბჭოში წარდგენამდე არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა. ფიზიკური ან/და იურიდიული პირის კითხვა უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე დაფიქსირებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა უმაღლესი საბჭოს აპარატის მიერ ეგზავნება მთავრობის შესაბამის წევრს. მთავრობის შესაბამისი წევრი ვალდებულია უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე პასუხი გასცეს ამ პუნქტით გათვალისწინებულ კითხვას.

3^2. ამ მუხლის 3^1 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დაგვიანებით მთავრობის შესაბამისი წევრის მიმართ ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიერ დასმული კითხვა უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე დაფიქსირებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა უმაღლესი საბჭოს აპარატის მიერ ეგზავნება მთავრობის შესაბამის წევრს. მთავრობის შესაბასამისი წევრი უფლებამოსილია უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე არ ისაუბროს ამ მუხლის 3^1 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დაგვიანებით წარდგენილ კითხვაზე.".

3. 131-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 131^1 მუხლი:
„მუხლი 131^1. თემატური მოკვლევა

1. აქტუალური საკითხის შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის მომზადების მიზნით, უმაღლესი საბჭოს წევრთაგან, კომიტეტის ან უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება დაინიშნოს თემატური მოკვლევის ჯგუფი, რომელიც თავისი შემადგენლობიდან ირჩევს მთავარ მომხსენებელს.

2. კომიტეტის წევრი უფლებამოსილია კომიტეტს წარუდგინოს შემოსული განცხადებების ანალიზის, მიმდინარე მოვლენების, საჯარო ინტერესისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით მომზადებული თემატური მოკვლევის საკითხი/საკითხები. აღნიშნულ საკითხზე/საკითხებზე მოკვლევის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარის ან საბჭოს წევრის მიერ წარდგენილი აქტუალური საკითხიდან/საკითხებიდან გამომდინარე, მუდმივმოქმედი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მოკვლევის დაწყების და თემატური მოკვლევის ჯგუფის დანიშვნის შესახებ.

4. თემატური მოკვლევა შესაძლებელია ჩატარდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე.

5. თემატური მოკვლევის საკითხი და ინფორმაცია უმაღლესი საბჭოს იმ წევრთა შესახებ, რომლებმაც დაადასტურეს მოკვლევაში მათი მონაწილეობა, წარედგინება უმაღლესი საბჭოს ბიუროს უახლოეს სხდომას. თუ აღმოჩნდება, რომ ერთსა და იმავე საკითხზე მოკვლევის სურვილი გამოითქვა სხვადასხვა კომიტეტში, უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებით, მოკვლევაში მონაწილე უმაღლესი საბჭოს წევრები შეიძლება გაერთიანდნენ.

6. თემატური მოკვლევის ჯგუფი ვალდებულია უზრუნველყოს მოკვლევის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 დღისა მოკვლევის დაწყების შესახებ ინფორმაციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე განთავსება. ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს საკითხის დასახელებასა და მოკლე აღწერას, ინფორმაციას საკითხზე მომუშავე უმაღლესი საბჭოს წევრის/წევრების შესახებ, აგრეთვე დაინტერესებული პირების მიერ საკუთარი მოსაზრებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის წესსა და ვადებს.

7. საკითხზე მომუშავე თემატური მოკვლევის ჯგუფი ადგენს საკითხის შესწავლის გეგმასა და გრაფიკს, განსაზღვრავს მის შესწავლაში მონაწილე სპეციალისტებს, ხელმძღვანელობს საკითხის შესწავლას, პასუხისმგებელია საკითხის დამუშავებისა და გადაწყვეტილების პროექტის მომზადებისთვის, სწავლობს დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვს, ადმინისტრაციული ორგანოსაგან გამოითხოვოს და მიიღოს საკითხის შესასწავლად საჭირო ინფორმაცია და ახსნა-განმარტება. მოკვლევის ფარგლებში მიღებული დოკუმენტები ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

8. საკითხის მოკვლევის ფარგლებში სავალდებულოა გაიმართოს საკითხის მოსმენა, რომელზედაც მოწვეული იქნებიან დაინტერესებული პირები, შესაბამისი სფეროს სპეციალისტები, ექსპერტები და იმ ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლები, რომელსაც უშუალოდ ეხება საკითხი. საკითხის მოსმენის გამართვის შესახებ ინფორმაცია 1 კვირით ადრე ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

9. თემატური მოკვლევის ჯგუფი მოკვლევის დაწყებიდან 3 თვის ვადაში ამზადებს დასკვნას, რომელიც წარედგინება უმაღლესი საბჭოს ბიუროს ან კომიტეტს. ეს ვადა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 3-ჯერ, თითო თვით. აღნიშნული დასკვნა უმაღლესი საბჭოს ბიუროს წარედგინება იმ შემთხვევაში, თუ თემატური მოკვლევის ჯგუფი სხვადასხვა კომიტეტის წევრებისაგან შედგება ან საკითხზე მოკვლევის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი საბჭოს მიერ. უმაღლესი საბჭოს ბიურო უფლებამოსილია აღნიშნული საკითხი შეიტანოს უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დღის წესრიგში. დასკვნის საფუძველზე შესაბამისი კომიტეტი ან უმაღლესი საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს ან ახორციელებს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას. კომიტეტის,

უმაღლესი საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ან/და დავალებები ეგზავნება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს და ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.“.

მუხლი 2.

1. ამ რეგლამენტის ამოქმედებამდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტის მიერ დანიშნული თემატური მოკვლევის ჯგუფი ჩაითვალოს ამ რეგლამენტის შესაბამისად დანიშნულად.

2. ამ რეგლამენტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება გავრცელდეს ამ რეგლამენტის ამოქმედებამდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტის მიერ დანიშნული თემატური მოკვლევის ჯგუფის საქმიანობაზე.

მუხლი 3.

ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ბათუმი,
2022 წლის
№

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ:

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი;

მიმდინარე წლის 6 სექტემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიურომ დაამტკიცა უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ვალდებულებების განხორციელება გაზრდის საკანონმდებლო ორგანოს ანგარიშვალდებულებას, გამჭვირვალობას და ხელმისაწვდომობას საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ერთ-ერთი ვალდებულებაა უმაღლესი საბჭოს საზედამხედველო ბერკეტების გაფართოება, უფრო კონკრეტულად კი თემატური მოკვლევის ინსტიტუციონალიზაცია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წელს მიღებული კონსტიტუციისა და მის საფუძველზე 2019 წელს უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით, უმაღლესი საბჭო საკანონმდებლო დონეზე აღიჭურვა ყველა იმ მნიშვნელოვანი საზედამხედველო ინსტრუმენტებით, რაც აუცილებელია მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელების კუთხით. საზედამხედველო ინსტრუმენტები, რომლებითაც დღეს მოქმედი საკანონმდებლო აქტებით სარგებლობს უმაღლესი საბჭო არის: უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვა, ინტერპელაცია, მთავრობის თავმჯდომარის ანგარიში, თანამდებობის პირების პლენარულ და კომიტეტების სხდომებზე სავალდებულო გამოცხადება, მინისტრის საათი, და სხვა.

გარდა ზემოაღნიშნულისა უმაღლეს საბჭოში რამდენიმე დარგობრივი კომიტეტი იყენებს ისეთ მნიშვნელოვან საზედამხედველო ინსტრუმენტს როგორიცაა თემატური მოკვლევა. აღნიშნული ინსტრუმენტი კარგი შესაძლებლობაა სხვადასხვა აქტუალური და პრობლემური საკითხის მოსაკვლევად და შემდგომი ნაბიჯებისთვის შესაბამისი დასკვნების მოსამზადებლად.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი საზედამხედველო ინსტრუმენტი, რომელსაც იყენებს უმაღლესი საბჭო რეგლამენტირებული უნდა იყოს საკანონმდებლო დონეზე. სხვა შემთხვევაში მისმა არსებობამ შესაძლებელია კითხვის ნიშნები გააჩინოს მისი განხორციელების კანონიერებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ უმაღლესი საბჭოს მიერ განხორციელებული ნებისმიერი საქმიანობა, მათ შორის საზედამხედველო კუთხითაც, გაწერილი იქნეს საკანონმდებლო დონეზე და მას ჰქონდეს შესაბამისი იურიდიული საფუძველი.

რეგლამენტში შესატანი შემდეგი ცვლილების მიღების მიზეზიც ღია მმართველობის საბჭოს 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმიდან გამომდინარეობს და მისი მიზანი ონლაინმექანიზმების გამოყენებით უმაღლესი საბჭოს საზედამხედველო საქმიანობაში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდაა. კერძოდ საუბარია იმაზე, რომ მთავრობის შესაბამისი წევრის უმაღლეს საბჭოში წარდგენამდე - მინისტრის საათამდე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს ჰქონდეთ საკანონმდებლო დონეზე გარანტირებული უფლება კითხვით მიმართოს მთავრობის შესაბამის წევრს.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი;

პროექტის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მე-4 და მე-5 ვალდებულებების შესრულება ერთი მხრივ თემატური მოკვლევის პრაქტიკის დანერგვისა და ინსტიტუციონალიზაციის გზით, ხოლო მეორე მხრივ საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა საზედამხედველო საქმიანობაში, ონლაინმექანიზმების გამოყენებით.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის არსი;

პროექტის პირველი მუხლის შესაბამისად, ცვლილება შედის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის:

- 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტში, რომლის შესაბამისად, უმაღლესი საბჭო აღარ დაამტკიცებს კომიტეტთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს დებულებას. აღნიშნული დებულების დამტკიცება მოხდება თავად კომიტეტის მიერ.

- 130-ე მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგ ემატება შემდეგი შინაარსის 3^1 და 3^2 პუნქტები:

მთავრობის შესაბამისი წევრის უმაღლეს საბჭოში წარდგენამდე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს უფლება აქვს კითხვით მიმართოს მთავრობის შესაბამის წევრს. კითხვა წარდგენილი უნდა იქნეს ელექტრონული ფორმით უმაღლესი საბჭოს ვებგვერდის მეშვეობით, მთავრობის შესაბამისი წევრის უმაღლეს საბჭოში წარდგენამდე არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა. ფიზიკური ან/და იურიდიული პირის კითხვა უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე დაფიქსირებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა უმაღლესი საბჭოს აპარატის მიერ ეგზავნება მთავრობის შესაბამის წევრს. მთავრობის შესაბამისი წევრი ვალდებულია უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე პასუხი გასცეს ამ პუნქტით გათვალისწინებულ კითხვას.

ამ მუხლის 3^1 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დაგვიანებით მთავრობის შესაბამისი წევრის მიმართ ფიზიკური ან/და იურიდიული პირის მიერ დასმული კითხვა უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე დაფიქსირებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა უმაღლესი საბჭოს აპარატის მიერ ეგზავნება მთავრობის შესაბამის წევრს. მთავრობის შესაბასამისი წევრი უფლებამოსილია უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე არ ისაუბროს ამ მუხლის 3^1 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დაგვიანებით წარდგენილ კითხვაზე.".

- რეგლამენტს ემატება შემდეგი შინაარსის 131^1 მუხლი:

„მუხლი 131^1. თემატური მოკვლევა

1. აქტუალური საკითხის შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის მომზადების მიზნით, უმაღლესი საბჭოს წევრთაგან, კომიტეტის ან უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება დაინიშნოს თემატური მოკვლევის ჯგუფი, რომელიც თავისი შემადგენლობიდან ირჩევს მთავარ მომხსენებელს.

2. კომიტეტის წევრი უფლებამოსილია კომიტეტს წარუდგინოს შემოსული განცხადებების ანალიზის, მიმდინარე მოვლენების, საჯარო ინტერესისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გათვალისწინებით მომზადებული თემატური მოკვლევის საკითხი/საკითხები. აღნიშნულ საკითხზე/საკითხებზე მოკვლევის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი საბჭოს თავმჯდომარის ან საბჭოს წევრის მიერ წარდგენილი აქტუალური საკითხიდან/საკითხებიდან გამომდინარე, მუდმივმოქმედი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მოკვლევის დაწყების და თემატური მოკვლევის ჯგუფის დანიშვნის შესახებ.

4. თემატური მოკვლევა შესაძლებელია ჩატარდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-2 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე.

5. თემატური მოკვლევის საკითხი და ინფორმაცია უმაღლესი საბჭოს იმ წევრთა შესახებ, რომლებმაც დაადასტურეს მოკვლევაში მათი მონაწილეობა, წარედგინება უმაღლესი საბჭოს ბიუროს უახლოეს სხდომას. თუ აღმოჩნდება, რომ ერთსა და იმავე საკითხზე მოკვლევის სურვილი გამოითქვა სხვადასხვა კომიტეტში, უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებით, მოკვლევაში მონაწილე უმაღლესი საბჭოს წევრები შეიძლება გაერთიანდნენ.

6. თემატური მოკვლევის ჯგუფი ვალდებულია უზრუნველყოს მოკვლევის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 დღისა მოკვლევის დაწყების შესახებ ინფორმაციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე განთავსება. ეს ინფორმაცია უნდა მოიცავდეს საკითხის დასახელებასა და მოკლე აღწერას, ინფორმაციას საკითხზე მომუშავე უმაღლესი საბჭოს წევრის/წევრების შესახებ, აგრეთვე დაინტერესებული პირების მიერ საკუთარი მოსაზრებებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის წესსა და ვადებს.

7. საკითხზე მომუშავე თემატური მოკვლევის ჯგუფი ადგენს საკითხის შესწავლის გეგმასა და გრაფიკს, განსაზღვრავს მის შესწავლაში მონაწილე სპეციალისტებს, ხელმძღვანელობს საკითხის შესწავლას, პასუხისმგებელია საკითხის დამუშავებისა და გადაწყვეტილების პროექტის მომზადებისთვის, სწავლობს დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვს, ადმინისტრაციული ორგანოსაგან გამოითხოვოს და მიიღოს საკითხის შესასწავლად საჭირო ინფორმაცია და ახსნა-განმარტება. მოკვლევის ფარგლებში მიღებული დოკუმენტები ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

8. საკითხის მოკვლევის ფარგლებში სავალდებულოა გაიმართოს საკითხის მოსმენა, რომელზედაც მოწვეული იქნებიან დაინტერესებული პირები, შესაბამისი სფეროს სპეციალისტები, ექსპერტები და იმ ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლები, რომელსაც უშუალოდ ეხება საკითხი. საკითხის მოსმენის გამართვის შესახებ ინფორმაცია 1 კვირით ადრე ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

9. თემატური მოკვლევის ჯგუფი მოკვლევის დაწყებიდან 3 თვის ვადაში ამზადებს დასკვნას, რომელიც წარედგინება უმაღლესი საბჭოს ბიუროს ან კომიტეტს. ეს ვადა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია გაგრძელდეს არაუმეტეს 3-ჯერ, თითო თვით. აღნიშნული დასკვნა უმაღლესი საბჭოს ბიუროს წარედგინება იმ შემთხვევაში, თუ თემატური მოკვლევის ჯგუფი სხვადასხვა კომიტეტის წევრებისაგან შედგება ან საკითხზე მოკვლევის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი საბჭოს მიერ. უმაღლესი საბჭოს ბიურო უფლებამოსილია აღნიშნული საკითხი შეიტანოს უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დღის წესრიგში. დასკვნის საფუძველზე შესაბამისი კომიტეტი ან უმაღლესი საბჭო შეიმუშავებს რეკომენდაციებს ან ახორციელებს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას. კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ან/და დავალებები ეგზავნება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს და ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.“.

რეგლამენტის პროექტის მე-2 მუხლის შესაბამისად, ამ რეგლამენტის ამოქმედებამდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტის მიერ დანიშნული თემატური მოკვლევის ჯგუფი ჩაითვლება რეგლამენტის შესაბამისად დანიშნულად, ხოლო რეგლამენტის პროექტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება გავრცელდება

ამ რეგლამენტის ამოქმედებამდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტის მიერ დანიშნული თემატური მოკვლევის ჯგუფის საქმიანობაზე.

პროექტის მე-3 მუხლის თანახმად, რეგლამენტი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

რეგლამენტის პროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ შედეგს იმ პირებზე, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე რეგლამენტის პროექტის ზეგავლენის შეფასება:

რეგლამენტის პროექტი გავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში;

ასეთი არ არსებობს

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ;

რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ) რეგლამენტის პროექტის ავტორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები დავით გაბაიძე და ვლადიმერ მგალობლიშვილი.

ე) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები დავით გაბაიძე და ვლადიმერ მგალობლიშვილი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის იმ მუხლების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტით შედის ცვლილება

მუხლი 25. უმაღლესი საბჭოს ბიუროს უფლებამოსილებები

1. უმაღლესი საბჭოს მუშაობის ორგანიზებისთვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით დადგენილი შემადგენლობით იქმნება უმაღლესი საბჭოს ბიურო.

2. უმაღლესი საბჭოს ბიურო რეგლამენტით დადგენილი წესით:
ა) შეიმუშავებს და უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს პლენარული სხდომის დღის წესრიგის პროექტს. უზრუნველყოფს კანონის, დადგენილების, რეზოლუციის, მიმართვის, უმაღლესი საბჭოს მიერ მისაღები სხვა აქტის პროექტის, აგრეთვე კომიტეტის, დროებითი კომისიის დასკვნების საფუძველზე საკითხის უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანას;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განსახილველი კანონპროექტების შესახებ დასკვნებს, კომიტეტებისა და დროებითი კომისიების დასკვნებს, რეზოლუციებისა და მიმართვების პროექტებს;

გ) განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის დაჩქარებული ან/და გამარტივებული წესით განხილვის შესახებ;
დ) განიხილავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დამტკიცებისა და სხვა თანამდებობის პირთა თანამდებობაზე განწესების თაობაზე შესაბამისი კომიტეტების დასკვნებს;

ე) ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის მიერ წარმოდგენილ კომიტეტებში, დროებით კომისიებში და ეთიკის საბჭოში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს;

ვ) ამტკიცებს კომიტეტების, დროებითი კომისიების, კომიტეტებთან არსებული საკონსულტაციო საბჭოების დებულებებს;

ზ) რეგლამენტით დადგენილი წესით წყვეტს ფრაქციების რეგისტრაციის საკითხებს;

თ) იღებს გადაწყვეტილებას პირის ლობისტად რეგისტრაციის შესახებ;

ი) უზრუნველყოფს სხვა სახელმწიფოში წარგზავნილი უმაღლესი საბჭოს დელეგაციებისა და უმაღლესი საბჭოს წევრების ანგარიშების მოსმენას უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომაზე;

კ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ხაზინადართა საბჭოს გადაწყვეტილებებს;

ლ) ამტკიცებს ბიუროს მუშაობის რეგლამენტს;

მ) ამტკიცებს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის დებულებას;

ნ) რეგლამენტით დადგენილი წესით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს წევრის სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული თანხის ოდენობას;

ო) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით უმაღლესი საბჭოსათვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში განიხილავს და ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის დეტალურ განწერას და ცვლილებები შეაქვს მასში. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის დეტალურ განწერაში ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია უმაღლეს საბჭოში დასაქმებული პირის დროებითი შრომისუუნარობის გამო გასაცემი თანხის გადატანასთან, ხორციელდება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის

ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. აღნიშნულ ინფორმაციას უმაღლესი საბჭოს ბიურო ცნობად იღებს უახლოეს სხდომაზე, ხოლო ცვლილება აისახება უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის დეტალურ განწერაში;

პ) იღებს გადაწყვეტილებებს უმაღლესი საბჭოს და მისი მუშაობის ცალკეულ ორგანიზაციულ საკითხებზე;

ჟ) ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ლოგოს და მისი გამოყენების წესს;

რ) ეთიკის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს ეთიკის საბჭოს დებულებას;

ს) ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ცალკეული წევრებისა და უმაღლესი საბჭოს დელეგაციების საზღვარგარეთ მივლინებაში წარგზავნის წესს;

ს[1]) ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის სამოქმედო გეგმას;

ტ) ახორციელებს რეგლამენტითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 130. მინისტრის საათი

1. მინისტრის საათი გულისხმობს, წელიწადში არანაკლებ ერთხელ, მთავრობის ცალკეული წევრის, გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა, უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე შესაბამისი სამინისტროს საქმიანობის შესახებ მოხსენებით გამოსვლას. მოხსენება, ასევე, უნდა შეეხოს იმ საკითხებს, რომლებიც ამ მუხლით დადგენილი წესით მინისტრის წინაშე იქნება დასმული.

2. მთავრობის ცალკეული წევრის მოხსენების უმაღლეს საბჭოში წარდგენის განრიგს, მთავრობის წევრებთან შეთანხმებით და კომიტეტებისა და ფრაქციების ინიციატივების გათვალისწინებით, საგაზაფხულო სესიის დაწყებამდე ადგენს უმაღლესი საბჭოს ბიურო. საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია განრიგში ცვლილების შეტანა ნებისმიერ დროს, ისე, რომ დაცული იქნეს ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ვადა. განრიგი უნდა შედგეს ისე, რომ საგაზაფხულო სესიის თითო მორიგ პლენარულ სხდომაზე წარმოდგენილი იყოს არანაკლებ ერთი მინისტრის მოხსენება მაინც, გარდა მთავრობის თავმჯდომარის ყოველწლიური მოხსენების მოსმენის დღისა.

3. მთავრობის შესაბამის წევრს უმაღლეს საბჭოში წარდგენამდე არაუგვიანეს 10 დღისა ეგზავნება კომიტეტებისა და ფრაქციების მიერ შედგენილი საკითხები, რომლის გარშემოც უნდა წარიმართოს მინისტრის საათი. მინისტრი უფლებამოსილია არ ისაუბროს ამ ვადის დაგვიანებით მიწოდებულ საკითხებზე.

4. მინისტრის საათი იწყება მთავრობის წევრის სიტყვით გამოსვლით, რისთვისაც ეძლევა 45 წუთი.

5. მთავრობის ცალკეული წევრის სიტყვით გამოსვლის შემდეგ უმაღლესი საბჭოს წევრებს უფლება აქვთ 1 საათის განმავლობაში მიმართონ მას დამაზუსტებელი კითხვით ერთხელ, არაუმეტეს 2 წუთით. რის შემდეგაც მთავრობის წევრი 30 წუთის განმავლობაში კითხვებს ცალ-ცალკე უპასუხებს.

6. კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ იმართება პოლიტიკური დებატები.